

ი. გუჯაბიძე, ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფ.
თ. ბარაბაძე, ტექნ. მეცნ. კანდ., პროფ.
ლ. გუდავაძე, ტექნ. მეცნ. კანდ., პროფ.
შ. გუჯაბიძე, ეკონომიკის მაგისტრი
ნ. ჭკადუა, დოქტორანტი

ბუნებრივი გაზი და ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგია

რეზიუმე: განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის ძირითადი მიზნები. მოცემულია გაზის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული გეგმები.

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, გაზი, გაზომარაგება, ევროპა, კასპიის რეგიონი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა, გაზსადენ-ინტერკონექტორი, ტრანზიტული მილსადენი, მოპოვება, იმპორტი, დივერსიფიკაცია, რეგულაციები, ფონდები, პროგრამები, რეორგანიზაცია.

შესავალი

სულ ცოტა ხნის წინ ევროკავშირში არ არსებობდა ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგია. ლისაბონის მოლაპარაკებების შემდეგ ევროკავშირმა მნიშვნელოვნად გაააქტიურა საქმიანობა ამ მიმართულებით. საკითხს განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა დასავლეთის გადაწყვეტილებამ, შეამციროს რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება მოწოდების ალტერნატიული გზების მოძიებით. ამ ამოცანის რეალიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2005 წელს გადაიდგა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული თანამეგობრობის შექმნით. ხელშეკრულების მხარეებია: ევროკომისია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბეთი, ჩერნოგორია, ხორვატია, კოსოვო და ალბანეთი. ამ თანამეგობრობის ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძველი 1991 წლის ენერგეტიკული ქარტიაა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის მთავარი მიზანია კასპიის რეგიონიდან, ახალი გაზსადენებისა და გათხევადებული გაზის მიწოდების მარშრუტების განვითარებით, ევროკავშირში ენერგომატარებლების მიწოდების საიმედოობის გაზრდა და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება.

ძირითადი ნაწილი

ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული სექტორის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას, უწევს კონკრეტულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, რათა შეიქმნას ევროპის სტაბილური ენერგეტიკული ბაზარი.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

ენერგეტიკული თანამშრომლობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ევროკომისიის მიერ 2009 წელს შემუშავებულმა ინვესტირების სამუშაო პროგრამამ [1] ხუთი ქვეყნისათვის, ესენია: ალბანეთი, მაკედონია, კოსოვო, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია.

ეს პროგრამა შერეული დაფინანსების მექანიზმია ევროკავშირში. დაფინანსების მონაწილეებია როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (ЕИБ, ЕБРР, KfW, მსოფლიო ბანკის ჯგუფი და სხვა), ისე ქვეყნები (ავსტრია, კანადა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი და სხვა).

დასახული მიზნის მისაღწევად ევროკავშირის ძალისხმევა არ შემოიფარგლება ენერგეტიკული თანამეგობრობის შექმნით. 2015 წელს ევროკავშირმა დაამტკიცა ენერგეტიკული კავშირის შექმნის სტრატეგია, რასაც უკრაინიდან გაზის მიწოდებისას წარმოშობილმა კრიზისმა შეუწყო ხელი.

ევროკომისიის გეგმებით აუცილებელია თურქეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და ახლო აღმოსავლეთის გაზის რესურსებით მდიდარ ქვეყნებთან სტრატეგიული თანამშრომლობის დამკვიდრება. ამისათვის კი ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობა.

პირველ რიგში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას.

ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია კასპიის რეგიონის ქვეყნებთან, როგორც გაზის მიღების ალტერნატიულ წყაროსთან, სტრატეგიული თანამშრომლობა

კასპიის რეგიონი აღიარებულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და გაზის მოწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტულ რეგიონად

რეგიონს. ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის შექმნა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებისა და ალბანეთის მონაწილეობის გარეშე კი შეუძლებელია. ეს რეგიონი გარემოცულია ქვეყნებით, რომლებიც უკვე გახდნენ ევროკავშირის წევრები (საბერძნეთი, ხორვატია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ა.შ.).

რეგიონში არსებული ენერგეტიკული პრობლემებისა (რუსულ გაზზე დიდი დამოკიდებულება, სუსტი ინფრასტრუქტურა და სხვა) და ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით მათი თანამშრომლობა ურთიერთხელსაყრელი და მომგებიანია.

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაზის დარგის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები ზემოაღნიშნული გამოწვევების მოგვარებისკენაა მიმართული. 1-ელ ცხრილში [2,3] მოცემულია ამ გეგმების ძირითადი ასპექტები. მათში ძირითადი ადგილი უჭირავს პრობლემის მოგვარების ზემოაღნიშნულ სამივე კომპონენტს: გაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ბუნებრივი გაზის სახეების, წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციას და მარაგების შექმნას, მიწისქვეშა გაზსაცავების გაფართოებასა და ახლის მშენებლობას.

რეგიონის ინფრასტრუქტურა. გაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მიზნად ისახავს ქსელის მზარდი მოთხოვნებისათვის საჭირო გამტარუნარიანობის უზრუნველყოფას და მეზობელ (როგორც გაზის მომპოვებელ, ისე მომხმარებელ) ქვეყნებთან კავშირების გაუმჯობესებას. ევროპული გაზსადენების ერთიან და ურთიერთდაკავშირებულ სისტემაში ინტეგრირება ენერგოუსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. განუხრელად იზრდება ორმხრივ რეჟიმში მომუშავე ტრანსსასაზღვრო მილსადენების წილი. ბევრი ევროპული ქვეყანა კარგაა ინტეგრირებული ტრანსევროპულ გაზგამტარ სისტემაში (ცხრ.2).

ცხრილი 1

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაზის დარგის განვითარების სტრატეგიული გეგმები გრძელვადიან პერიოდში			
ქვეყანა	გაზის მოხმარება (წილი ენერგობალანსში) 2016	გაზის მოხმარების მოსალოდნელი ზრდა 2030 წ.	დარგის განვითარების გრძელვადიანი გეგმები
ბულგარეთი	3,2 მლრდ. მ ³ (14,8 %)	+ 8 %	- ელექტროენერგიის ჩანაცვლება გაზით გათბობისა და სამეურნეო მიზნებისათვის; - გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია (მათ შორის გათბევადებული გაზისა და გაზსადენ-ინტერკონექტორების მიწოდების ხარჯზე მეზობელ ქვეყნებთან); - გაზის ახალი საბადოების შემუშავება (მათ შორის ფიქლის გაზი და შავ ზღვაში); - “სამხრეთის დერეფნის” პროექტში მონაწილეობა;
ბოსნია ჰერცეგოვინა	0,2 მლრდ. მ ³ (2,7 %)	-	- გაზსადენ-ინტერკონექტორების მშენებლობა მეზობელ ქვეყნებთან (პირველ რიგში ხორვატიასთან);
უნგრეთი	10,1 მლრდ. მ ³ (31,3 %)	+ 11 %	- გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია (ახალი გაზსადენ-ინტერკონექტორების მშენებლობისა და არსებული მილსადენების გამტარუნარიანობის გაზრდის ხარჯზე მეზობელ ქვეყნებთან, გათბევადებული გაზის ტერმინალებთან წვდომისათვის პოლონეთში, ხორვატიაში, სლოვენიაში და იტალიაში); - “სამხრეთის დერეფნის” პროექტში მონაწილეობა;
საბერძნეთი	4,1 მლრდ. მ ³ (15,4 %)	+ 46 %	- გაზის მოხმარების გაზრდა წარმოებასა და საცხოვრებელ სექტორში;

მეცნიერება	ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები		SCIENCE
პოლონეთი	19 მლრდ. მ ³ (14,7 %)	შენარჩუნებულია 2017 წლის დონეზე	- გაზის მოხმარება ელექტროენერგიის სფეროში პიკური დატვირთვების დასაფარად და სიმძლავრეების რეზერვის შესაქმნელად ქარის ელექტროსადგურებისთვის; - გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია; - საკუთარი რესურსების მოპოვების განვითარება და გაზის წარმოება ნახშირის გაზიფიკაციის მეთოდით; - გაზის სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაცია; - გათხევადებული გაზის მიმღები ტერმინალის მოცულობის გაზრდა; - გაზსაცავების განვითარება;
რუმინეთი	11,3 მლრდ. მ ³ (28,4 %)	-	- გაზის მოხმარების გაზრდა წარმოების სექტორში;
სერბეთი	2,4 მლრდ. მ ³ (12,4 %)	+ 24 %	- ელექტროენერგიის გაზით გათბობის მიზნით ჩანაცვლება; - რეგიონების გაზიფიკაცია; - გაზსადენ-ინტერკონექტორების მშენებლობა მეზობელ ქვეყნებთან (ბულგარეთთან, რუმინეთთან, ხორვატიასა და მაკედონიასთან); - მიწისქვეშა გაზსაცავის – „ბანატსკი დვორის“ მოცულობის გაზრდა და ქვეყნის მასშტაბით გაზსაცავების ერთიანი სისტემის შექმნის შესაძლებლობა;
სლოვაკეთი	4,7 მლრდ. მ ³ (23,6 %)	+ 15 %	- ქვანახშირის ჩანაცვლება გაზით, პირველ რიგში თბოენერგეტიკის დარგში; - შეკუმშული გაზის გამოყენების გაფართოება გაზის ტრანსპორტირების სექტორში; - გაზსადენ-ინტერკონექტორების მშენებლობა მეზობელ ქვეყნებთან (მაგ., პოლონეთთან);
სლოვენია	0,9 მლრდ. მ ³ (10,4 %)	-	- გაზის პრიორიტეტული მოხმარება ენერგეტიკასა (განახლებადი ენერგორესურსებიდან ელექტროენერგიის არათანაბარი მოპოვების დასაბალანსებლად) და საცხოვრებელ სექტორში;
თურქეთი	46,6 მლრდ. მ ³ (28 %)	+ 14 %	- გაზის წილის შემცირება ელექტროენერგიის გენერაციაში ქვანახშირის ხარჯზე; - გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია (მაგ., გათხევადებული გაზის მიწოდების ხარჯზე); - საკუთარი მოპოვების განვითარება; - გაზსაცავების მოცულობის გაზრდა;
ხორვატია	2,6 მლრდ. მ ³ (25,6 %)	+ 99 %	- მიწისქვეშა გაზსაცავისა და გათხევადებული გაზის ტერმინალის მშენებლობა; - ქვეყნის გაზის სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება;
ჩეხეთი	8,5 მლრდ. მ ³ (16,9 %)	+ 7 %	- გაზის მოხმარების გაფართოება ენერგეტიკასა და ტრანსპორტში; - გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია (მათ შორის გათხევადებული გაზის მიწოდებით); - ჩეხეთისთვის გაზის ტრანზიტორის როლის შენარჩუნება.

გაზსადენ-ინტერკონექტორები ევროპაში		
ქვეყანა	გაზსადენ-ინტერკონექტორების შესასვლელ-გამოსასვლელების რაოდენობა	კავშირი ევროპის ქვეყნებთან
ავსტრია	3აბი	უნგრეთი, გერმანია, იტალია, სლოვაკია, სლოვენია;
ბელგია	18	ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი;
ბულგარეთი	ტრანზიტული მილსადენი საბერძნეთში, მაკედონიასა და თურქეთში. 20 მლრდ მ³ წელიწადში სიმძლავრით	რუსეთი-უკრაინა-მოლდოვა-რუმინეთის დერეფანი;
ჩეხეთი	5	გერმანია, საფრანგეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი;
დანია	2	შვედეთი, გერმანია;
ესტონეთი	3	რუსეთი, ლატვია;
საფრანგეთი	11	ბელგია, გერმანია, შვეიცარია, ესპანეთი;
ფინეთი	1	რუსეთი
საბერძნეთი	2	ბულგარეთი, თურქეთი;
უნგრეთი	6	უკრაინა, ავსტრია, ხორვატია, სერბეთი, რუმინეთი;
იტალია	10	ავსტრია, შვეიცარია, გერმანია, საბერძნეთი, სლოვენია;
ლატვია	3	რუსეთი, ესტონეთი, ლიეტუა;
ლიეტუა	3	რუსეთი, ბელარუსია, ლატვია;
ნიდერლანდები	17	ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი;
გერმანია	მრავალი	ნორვეგია, რუსეთი, ჩეხეთი, ავსტრია, ნიდერლანდები;
პოლონეთი	5	გერმანია, ჩეხეთი, ბელარუსია, უკრაინა;
პორტუგალია	2	ესპანეთი;
რუმინეთი	9	უნგრეთი, ბულგარეთი, უკრაინა;
სლოვაკეთი	4	უკრაინა, ჩეხეთი, ავსტრია, უნგრეთი;
სლოვენია	3	იტალია, ავსტრია, ხორვატია;
ესპანეთი	2	პორტუგალია, საფრანგეთი;
შვედეთი	1	დანია
დიდი ბრიტანეთი	4+ (რამდენიმე ნორვეგიასთან)	ნორვეგია, ბელგია, ნიდერლანდები, ირლანდია
წყარო: ჟურნალი - "Нефтегазовая Вертикаль", DNV KEMA - ს მასალებზე დაყრდნობით;		

ევროკომისიის სტრეს-ტესტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაზის მიწოდებაში, შეფერხებების წარმოშობის შემთხვევაში, ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ევროკავშირის 9 ქვეყანა: ბალტიის რეგიონის ქვეყნები და ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი და ხორვატია. ევროკომისიის რეკომენდაციით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აუბოძებენ გაზის ინფრასტრუქტურებს და მათ კავშირებს. ამ ქვეყნების დამაკავშირებელი მაგისტრალების მშენებლობა ენერგეტიკული უსაფრთხოების გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ასეთ პროექტებს განეკუთვნება:

ბულგარეთისა და რუმინეთის დამაკავშირებელი გაზსადენ-ინტერკონექტორი (IBR). 2011 წელს ბულგარეთმა დაიწყო რუმინეთთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა. მისი ღირებულება 29 მლნ.ევროა. აქედან 9 ფინანსდება ევროკავშირიდან, 11 – ბულგარეთიდან, 4 – რუმინეთიდან. მისი სიგრძე 25 კმ-ია. აქედან 15,4 კმ ბულგარეთის ტერიტორიაზე გადის, 2,1 კმ – რუმინეთის. პროექტი 2016 წელს დასრულდა.

ბულგარეთისა და თურქეთის დამაკავშირებელი გაზსადენ-ინტერკონექტორი (ITB). პროექტმა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის მიიღო EFC-ის გრანტი. მისი სიგრძე 205 კმ-ია. მილსადენის იმ ნაწილის სიგრძე, რომელიც ლოზანას აკავშირებს თურქეთის საზღვართან 70 კმ. თურქული ნაწილი 130 კმ-ია, რომლითაც უკავშირდება Botas - გაზის სატრანსპორტო სისტემას Onerler-Sarkov უბანზე. მშენებლობა დაიწყო 2016 წელს. საპროექტო გამტარუნარიანობა 3 მლრდ.მ³-ია. მშენებლობა 2016 წელს დაიწყო.

ბულგარეთისა და სერბეთის დამაკავშირებელი გაზსადენ-ინტერკონექტორი (CPK). გაზსადენის სიგრძე 150 კმ-ია. აქედან 50 კმ ბულგარეთის ტერიტორიაზეა. მისი გამტარუნარიანობა საწყის ეტაპზე 1,9 მლრდ.მ³-ია ორთავე მიმართულებით. სამომავლოდ მისი მოცულობის გაზრდა 4,5 მლრდ.მ³-მდეა შესაძლებელი.

ბულგარეთისა და საბერძნეთის დამაკავშირებელი გაზსადენ-ინტერკონექტორი (IGB). მშენებლობა 2019 წელს დაიწყო ბულგარეთის სამხრეთში. მისი სიგრძე 169,5 კმ-ია. მისი საშუალებით 5 მლრდ. მ³ გაზი მიეწოდება ბულგარეთსა და სამხრეთ ევროპას. IGB - ის დახმარებით ბულგარეთი ჩაერთვება TAP-ის პროექტში.

რუმინეთისა და უნგრეთის დამაკავშირებელი გაზსადენ-ინტერკონექტორი (ROHUAT). გაზსადენი დააკავშირებს ერთმანეთთან ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის და ავსტრიის გაზის ინფრასტრუქტურებს და სამხრეთ კავკასიის რეგიონის გაზის რესურსებთან. მისი გამტარუნარიანობა 5,9 მლრდ.მ³-ია. რუმინეთისა და უნგრეთის დამაკავშირებელი მილსადენი „Cered-Apad“ ექსპლუატაციაში 2010 წელს შევიდა.

უნგრეთის FGSZ და Eustream უნგრეთსა და სლოვაკეთს შორის მილსადენის ჯუმპერის გაფართოებაზე მუშაობს. მისი მთავარი ამოცანაა ბულგარეთი–რუმინეთი–უნგრეთი–სლოვაკეთი–ავსტრიის მარშრუტზე სამხრეთის გაზის რესურსების მიწოდების უზრუნველყოფა. აღნიშნული პროექტები ემსახურება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გაზის ვერტიკალური კორიდორის რეალიზაციას (Vertical Gas Corridor, VGC).

გაზის ვერტიკალური კორიდორი (სურ.) არსებული კონცეფციით სამხრეთის კორიდორის (SGC) გაგრძელებაა და საშუალებას იძლევა ევროპის გაზის სისტემის ხაზები დაუკავშირდეს იზოლირებულ ქვეყნებს. ამ პროექტით დაინტერესებულია საბერძნეთი, ხორვატია, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი და სერბეთი.

პროექტით განსაკუთრებულადაა დაინტერესებული საბერძნეთი, რადგან სამხრეთიდან გაზის მიღება და ევროპის სხვა ქვეყნებში ტრანსპორტირება უნდა მოხდეს საბერ-

მნეთიდან, რაც ამ უკანასკნელს გაზის „ჰაბის“ ქვეყნის ამბიციებს უღვიძებს.



ცენტრალური/სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გაზის ვერტიკალური დერეფანი

საბერძნეთის გავლით ევროპაში ტრანსპორტირებული გაზის მოცულობამ შეიძლება 34 მლრდ.მ³-ს მიაღწიოს. გაზის ვერტიკალურ კორიდორთან დაკავშირებით საფუძველი დაედო ახალი სტრატეგიის წარმოშობას. 2014 წელს საბერძნეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის მთავრობებმა განაცხადეს ვერტიკალური კორიდორის ჩრდილოეთით გაფართოების შესაძლებლობა უნგრეთისა და ბალტიის ქვეყნების მონაწილეობით. მომავალში არის შესაძლებლობა ამ მარშრუტით გაზი მიეწოდოს სერბეთს, მოლდავეთსა და უკრაინასაც კი. ამას გარდა, საბერძნეთისათვის განიხილება მცურავი გაზსაცავების 2 პროექტი FSRU. მათი განთავსება გათვალისწინებულია TAP-ის მარშრუტის მახლობლად.

ცხადია, რომ ევროპის ქვეყნებში გაზის დარგის განვითარების სტრატეგიული გეგმები და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები კარგ პირობებს ქმნის სამხრეთ - აღმოსავლეთ საქართველოდან გაზის (როგორც აიროვანი, ისე გათხევადებული) პირდაპირი მიწოდებისა და მათი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდისათვის.

დასკვნა

ევროკომისიის გეგმებით აუცილებელია თურქეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და ახლო აღმოსავლეთის გაზის რესურსებით მდიდარ ქვეყნებთან სტრატეგიული თანამშრომლობის დამკვიდრება. ამისათვის კი ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ-

მეცნიერება - ენერგეტიკული სისტემები და კომპლექსები - SCIENCE

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საქართველოსთან კეთილმეზობლური პარტნიორული ურთიერთობა.

ევროკომისიის სტრეს-ტესტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაზის მიწოდებაში შეფერხების წარმოშობის შემთხვევაში ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება ევროკავშირის 9 ქვეყანა: ბალტიის რეგიონის ქვეყნები და ბულგარეთი, საბერძნეთი, რუმინეთი და ხორვატია.

ევროკომისიის რეკომენდაციით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აუმაღლებს გაზის ინფრასტრუქტურებს და მათ კავშირებს.

ევროპის ქვეყნებში გაზის დარგის განვითარების სტრატეგიული გეგმები და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები კარგ პირობებს ქმნის სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოდან გაზის (როგორც აიროვანი, ისე გათხევადებული) პირდაპირი მიწოდებისა და მათი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდისათვის.

ლიტერატურა

- 1). The Western Balkans Investment Framework, WBIF.2009.
- 2). МЭА, Оксфордский Институт Энергетических исследований (потребление газа в 2016-2017 годах).
- 3). Аналитический центр на основестратегических документов стран Восточной Европы в сфере энэргетики (потребление газа в 2030 году).